საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი 17.05.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი, სხდომის მდივანი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საერთო საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი;
ბორის ლეჟავა - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" კავკასიის ბიზნესის სკოლის დეკანი;
რევაზ სოლომონია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;
ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომლები:
თამარ ზაალიშვილი - ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ანდრეს კუზი - დაწესებულების - სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში - დირექტორი;
მარინე ჯაფარიძე - დაწესებულების სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში - დირექტორის მოადგილე;
თამარ მიქაბერიძე - დაწესებულების - სს - გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში - მოსწავლეთა დეკანი;
აკაკი ხელაძე - შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
ონისე ალფენიძე - შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
გია კავთელიშვილი - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს რექტორი;
გიორგი ცხვედიანი - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ვიცე-რექტორი;

6.16

ნონა ზუმბაძე - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ივანე აბიათარი - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს მედიცინის პროგრამის ხელმძღვანელი;
გოჩა თუთბერიძე - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი;
ხათუნა საგანელიძე - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს კონსულტანტი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ნინო ფეტვიაშვილი;
ნინო ბალანჩივაძე;
თამარ ვალიშვილი;
კონსტანტინე თოფურია;
გიორგი ღაღანიძე;
გოჩა თუთბერიძე;
ციური დურული.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:08 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნათელა სახოკია. ამავე ნორმის თანახმად, მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისრა თამარ ბრეგვაძეს.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ზოგადსაგანმანაათლებლო დაწესებულების - სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ზოგადსაგანმანაათლებლო დაწესებულების - სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

G. IUB

4. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა, აგრეთვე, მიმართა საბჭოს წევრებს, დღის წესრიგით გათვალისწინებულ რომელიმე საკითხთან დაკავშირებით ხომ არ სურდათ თვითაცილება.

გამოვლინდა, რომ საბჭოს წევრები: ბორის ლეჟავა ვერ მიიღებდა მონაწილეობას შპს საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვაში.

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლაშა მარგიშვილმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, რომ შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხილვა გადადებულიყო მომდევნო საბჭოს სხდომისათვის, რადგან ობიექტური მიზეზების გამო, 17 მაისის სხდომას აკრედიტაციის ექსპერტები ვერ ესწრებოდნენ. ლაშა მარგიშვილმა საბჭოს გააცნო ექსპერტის გიორგი ღაღანიძის შუამდგომლობა იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოდგენილი დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-7 საკითხის განხილვა მომხდარიყო მე-3 საკითხვად, ვინაიდან სხდომის ბოლომდე ვერ ახერხებდა დასწრებას. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობები.

სხდომის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგის პროექტი:

1. ზოგადსაგანმანაათლებლო დაწესებულების - სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ზოგადსაგანმანაათლებლო დაწესებულების - სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

6-1ა

1. ზოგადსაგანმანაათლებლო დაწესებულების - სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში საბაზო საფეხურის ზოგადსასაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ნინო ფეტვიაშვილმა და ნინო ბალანჩივაძემ. მათი თქმით, დაწესებულებას 2011 წელს მიენიჭა აკრედიტაცია, სწავლება მიმდინარეობდა ქართულ და ინგლისურ ენებზე, რაზეც ნებართვა 2011 წელს იყო გაცემული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. ამჟამად, პროგრამას უწევდა ხელახალი აკრედიტაცია. ესპერტებმა საბჭოს გააცნეს აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია:

1. მოზარდობის ასაკში თანატოლთა წრე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებაში. ამ წრეში არსებული თანასწორუფლებიანი ურთიერთობები ხელს უწყობს სოციალური კომპეტენციის ჩამოყალიბებას. აღნიშნულ ასაკში მნიშვნელოვანია, რომ დრო დაეთმოს სხვადასხვა სკოლიდან გადმოსულ ბავშვებს შორის პოზიტიური კომუნიკაციისა და ჯგუფის ერთობის ფორმირებას, ვინაიდან, ამგვარ გარემოში მოზარდები მეტად უსაფრთხოდ გრძნობენ თავს და მათი ენერგია მეტად სასწავლო პროცესს ხმარდება. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია, აკადემიამ საბაზო საფეხურის ფარგლებში დაამატოს მე-8 კლასი, სადაც დრო დაეთმობა სწორედ ჯგუფის ერთობის ფორმირებასა და ახალ სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას. საშუალო საფეხური კი მთლიანად დაეთმობა დისციპლინების სწავლებას და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. ექსპერტთა მოსაზრებით, აკადემიას აქვს შესაბამისი რესურსი, როგორც მატერიალური, ასევე ადამიანური.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამომავლოდ, აკადემიაში იგეგმებოდა საბაზო საფეხურის სხვა კლასების გახსნა, კერძოდ, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამომავლოდ იგეგმებოდა მე-8 კლასის მიღება და სწავლების ენა დასაწყისში იქნებოდა ქართული, ეტაპობრივად შევიდოდა ინგლისური მასალა და საბოლოო შედეგი ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა იქნებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში მიღება გამოცდების საფუძველზე ხდებოდა, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლების თქმით მათ არ სურდათ ინგლისურის არცოდნის გამო მოსწავლე ვერ მოხვედრილიყო აკადემიაში. სწორედ ამიტომ გადაწყდა მე-8 კლასის დამატება. სკოლაში მიღება კი აკადემიური წერისა და ზოგადი უნარ-ჩვევების საფუძველზე მოხდებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების დაფიქსირება. მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

6-1

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დაწესებულების - სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დაწესებულების - სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ზოგადსაგანმანაათლებლო დაწესებულების - სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ნინო ფეტვიაშვილმა და ნინო ბალანჩივაძემ, მათ საბჭოს გააცნეს აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია:

1. ექსპერტთა რეკომენდაციაა - საშუალო საფეხურზე აკადემიამ მოსწავლეებს შესთავაზოს უცხოური ენების მეტი არჩევანი, რისი სურვილიც მოსწავლეთა მიერ შევსებული კითხვარების დამუშავების შედეგად გამოვლინდა. უნდა აღინიშნოს, რომ აკადემია ფლობს შესაბამის ადამიანურ და მატერიალურ რესურსს.

საბჭოს წევრი ბორის ლეჟავა დაინტერესდა ვის მიერ იყო კითხვარი შედგენილი. რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ ცენტრის მიერ სარეკომენდაციო ხასიათის შედგენილი კითხვარით გამოიკითხნენ მოსწავლეები ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

წარმოდგენილ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა იყო პატარა და სხვადასხვა ენის ჯგუფების დაკომპლექტება ძნელი იქნებოდა.

სხდომის თავმჯდომარე ნათელა სახოკია დაინტერესდა, რამდენი მოსწავლე ჰყავდა დაწესებულებას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით აკადემიას 284 მოსწავლე ჰყავდა. მათი მიზანი იყო მომავალში წარმატებული სტუდენტების მომზადება უნივერსიტეტისათვის.

საბჭო დაინტერესდა რამდენი მოსწავლე სწავლობდა აკადემიაში უფასოდ. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას ჰქონდა სპეციალური სოციალური პროგრამა, გარკვეული მაჩვენებლების მიხედვით, ზოგი მოსწავლე სწავლის ღირებულების ნაწილს იხდიდა, ზოგი საერთოდ თავისუფლდებოდა გადასახადისაგან. შეღავათი უნარჩუნდებოდათ აკადემიური მოსწრების მიხედვით.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა, როგორ ხდებოდა სკოლაში შეფასება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჰქონდათ შემდეგი შეფასების კომპონენტები - წერითი გამოკითხვა, პროექტები, რეფერატები, საბუნებისმეტყველო საგნებში ამოცანები, მე-9 კლასიდან ზოგ საგანში მოსწავლეები პორტფოლიოებს აკეთებდნენ და ა.შ. როდესაც მე-8 კლასი დაემატებოდა საბაზო საფეხურს შეფასების კომპონენტები მცირედ განსხვავებული იქნებოდა, თუმცა არსებითად არა.

საბჭოს წევრი ბორის ლეჟავა დაინტერესდა თუ ჰქონდა დაწესებულებას მონაცემები მათი კურსდამთავრებულების რა რაოდენობა აგრძელებდა სწავლას საქართველოს უმაღლეს

6-1ᲣᲗ

საგანმანათლებლო დაწესებულებებში და რამდენი მიდიოდა საზღვარგარეთ. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათი კურსდამთავრებულების 100% აბარებდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 50 კურსდამთავრებულიდან დაახლოებით 5 რჩებოდა საქართველოში დანარჩენი საზღვარგარეთ აგრძელებდა სწავლას.

ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული წესით სწავლებაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინსიტროში წარდგენილი ჰქონდათ შესაბამისი წერილი და ელოდნენ მათგან ნებართვას. ამასთან დაკავშირებით, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ როდესაც სკოლამ განმეორებით მიიღო ავტორიზაცია 2016 წლის 4 მაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე, საბჭოს წევრებმა განუმარტეს დაწესებულებას, რომ მათ ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებულ სწავლებაზე ხელახლა უნდა მიემართათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის, ვინაიდან 2011 წელს აღებული თანხმობა არ იყო საკმარისი, თუნდაც იმ ცვლილებებიდან გამომდინარე, რაც 2011 წლიდან 2016 წლამდე შევიდა ეროვნულ სასწავლო გეგმაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ, როგორც კი საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსგან მიიღებდნენ თანხმობას, აღნიშნულ კორესპონდენციას წარმოადგენდნენ ცენტრში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დაწესებულების - სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაწესებულების - სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6-1ა

3. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	02
კრედიტების რაოდენობა:	240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსოტეტი სეუს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა გიორგი ღაღანიძემ და კონსტანტინე თოფურიამ. მათი თქმით, უნივერსიტეტს ჰქონდა მოქმედი პროგრამები ბიზნეს ადმინისტრირება ტურიზმში, ბიზნეს ადმინისტრირება ფინანსებში და ბიზნეს ადმინისტრირება მენეჯმენტში. მოცემული პროგრამა კი იყო ახალი დამოუკიდებელი პროგრამა, რომელიც მოდულების პრინციპით იყო აგებული. რადგან პროგრამა ახალი იყო და სტუდენტები არ ჰყავდა, ინტერვიუ ჩატარდა ზემოთ აღნიშნული პროგრამების სტუდენტებთან. ექსპერტებმა საბჭოს გააცნეს აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილად მიგვაჩნია გარკვეული კომპონენტების გადაჯგუფება პროგრამის არჩევით, სავალდებულო და კონცენტრაციის მოდულებს შორის. კერძოდ, კომპონენტები „სტრატეგიული მენეჯმენტი“, „ოპერაციათა მენეჯმენტი“ და „მმართველობითი აღრიცხვა“ პროგრამის კონცენტრაციის სავალდებულო და არჩევითი მოდულებიდან გადავიდეს პროგრამის სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში და სავალდებულო გახდეს ყველა კონცენტრაციისთვის. ეს შესაძლოა განხორციელდეს 40 ECTS-იანი კონცენტრაციის მოდულის 30 ECTS-მდე შემცირებით, ხოლო გამოთავისუფლებული 10 ECTS-ის სპეციალობის სავალდებულო მოდულისთვის დამატებით. ამასთან, კომპონენტის „ლიდერობა და გუნდის მართვა“ პროგრამის სავალდებულო მოდულიდან მენეჯმენტი/მარკეტინგის კონცენტრაციის მოდულში გადატანით და, შესაბამისად პროგრამის სავალდებულო მოდულში 5 ECTS-ის გამოთავისუფებით.

2. მიზანშეწონილად მიგვაჩნია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა განიხილოს არსებული დარგობრივი 2 კონცენტრაციის მენეჯმენტი/მარკეტინგი და ფინანსები/საბუღალტრო აღრიცხვა მაგიერ, 4 კონცენტრაციის: მენეჯმენტი,მარკეტინგი, ფინანსები, საბუღალტრო აღრიცხვა შეთავაზება.

6-1U6

3. პროგრამაში შემავალ კომპონენტებს გააჩნია ლოგიკური ქრონოლოგიური წყობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების ლოგიკური წინაპირობები. თუმცა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზოგიერთ კომპონენტზე დაშვება გამკაცრდეს წინაპირობების დამატებით. კერძოდ: კომპონენტს „რისკების მენეჯმენტი" წინაპირობებში დაემატოს კომპონენტი „ალბათობის თეორია და ბიზნესის სტატისტიკა"; კომპონენტისთვის „პროექტის მენეჯმენტი" წინაპირობებად განისაზღვროს კომპონენტები „სტრატეგიული მენეჯმენტი" და „ოპერაციათა მენეჯმენტი"; კომპონენტს „მარკეტინგის მენეჯმენტი" წინაპირობებში დაემატოს კომპონენტი „მარკეტინგის საფუძვლები"; კომპონენტისთვის „მომხმარებელთა ქცევა" წინაპირობად განისაზღვროს კომპონენტი „მარკეტინგის საფუძვლები"; კომპონენტისთვის „მცირე და საშუალო საწარმოების მენეჯმენტი" წინაპირობებად დაემატოს კომპონენტები: „სტრატეგიული მენეჯმენტი", „ბუღალტერიის საფუძვლები", ოპერაციათა მენეჯმენტი", „მარკეტინგის საფუძველები"; კომპონენტისთვის გლობალური „ბიზნეს-გარემო" წინაპირობებად განისაზღვროს კომპონენტები „ბიზნესის საფუძვლები" და „ფინანსების საფუძვლები".

4. სასწავლო წლის დასაწყისში ზუსტდება საკონსულტაციო დღეები აკადემიურ პერსონალთან, რომელიც თავსდება ვებ-გვერდზე და უნივერსიტეტში არსებულ საინფორმაციო დაფაზე. სტუდენტთა ინფორმირება ხდება ასევე სასწავლო პროცესის მენეჯერების მიერ. თუმცა, სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა არაა უშუალოდ გათვალისწინებული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში. ექსპერტთა რეკომენდაციით, მიზანშეწონილია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა გათვალისწინებული იყოს აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაშიც.

5. მიზანშეწონილად მიგვაჩნია უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამების ინტენსიფიკაცია, ერაზმუსში და სხვა გაცვლით პროგრამებში ჩართვა.

6. პროგრამის დაფინანსება გათვალისწინებულია უსდ-ის ბიუჯეტით, თუმცა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შედგეს პროგრამის ხარჯთაღრიცხვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ფინანსურ გეგმასთან დაკავშირებთ განმარტა, რომ გარკვეულ სირთულეს წარმოადგენდა პროგრამისათვის ცალკე ბიუჯეტის გაკეთება, რადგან სხვადასხვა სასწავლო კურსებზე ჯგუფები იქმნებოდა ფაკულტეტის სხვადასხვა პროგრამის სტუდენტებისაგან. აღნიშნული საკითხი პროგრამის ფინანსურ მდგრადობას საფრთხეს არ უქმნიდა, იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნული ფაკულტეტის სამ პროგრამაზე ორი ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობდა. თუმცა, სამომავლოდ აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება შესაძლებელი იყო.

გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებულ რეკომენდაციას დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ, მათი თქმით, მუშაობდნენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ახალი დამთავრებული იყო აიზეკის კონკურსი, გამარჯვებული სტუდენტები სასწავლო უნივერსიტეტის დაფინასებით საზაფხულო სკოლებში გაემგზავრებოდნენ პოლონეთში, ჩეხეთში და სხა სახელმწიფოებში.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შრომის ბაზარზე არსებული საჭიროებიდან და პროგრამის ხელმძღვანელის ხედვიდან გამომდინარე, მათ გადაწყვიტეს პროგრამა სამ კონცენტრაციად დაყოფილიყო - მენეჯმენტი და მარკეტინგი, ფინანსები და საბუღალტრო აღრიცხვა, საერთაშორისო ბიზნესი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მენეჯმენტი და მარკეტინგი რიგ შემთხვევებში გადამკვეთი იყო, ასევე ფინანსების და საბუღალტრო აღრიცხვა.

კონცენტრაციებთან დაკავრებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მოსაზრებას არ იზიარებდნენ, რადგან არსებული მდგომარეობა უფრო მეტი არჩევანის საშუალებას აძლევდა სტუდენტებს. თუმცა, სამომავლოდ გამოცდილება აჩვენებდა, შესაძლოა პროგრამას რეკომენდებულზე მეტი კონცენტრაციაც დამატებოდა.

6. 106

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამის დიზაინის ცვლილებამ გამოიწვია წინაპირობებში გარკვეული საგნების დამატება. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, რაოდენობრივი კომპონენტის აძლიერებდნენ, ფიქრობდნენ ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ცალ-ცალკე სწავლებაზე, რაზეც პროფესორებთან ერთად მუშაობდნენ, რადგან მათ უნდა შეემუშავებინათ შესაბამისი სალექციო კურსები.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა როდიდან აპირებდა დაწესებულება მოცემულ პროგრამაზე სტუდენტების მიღებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდებით სტუდენტებს მომდევნო სასწავლო წლიდან ვერ მიიღებდნენ, თუმცა მანამდე მობილობით შეძლებდნენ სტუდენტების მიღებას.

საბჭოს წევრი ბორის ლეჟავა დაინტერესდა რა განსხვება იყო არსებულ ბიზნენსის ადმინისტრირების პროგრამებსა და განსახილველად წარმოდგენილ ახალ პროგრამას შორის. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებაში მოქმედი პროგრამები თავიდანვე კონცენტრირებული იყო ფინანსების, მენეჯმენტის სფეროებზე. ახალი პროგრამა არჩევანის საშუალებას აძლევდა სტუდენტს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ახალი პროგრამის შექმნა ბაზრის კვლევის შედეგად გადაწყდა.

საბჭოს წევრი, ბორის ლეჟავა ასევე დაინტერესდა რით იყო გამოწვეული წინაპირობების პრობლება. ექსპერტთა განმარტებით, სწავლების დროს წინაპირობები რეალურად დაცული იყო, თუმცა არ იყო შესაბამისი ჩანაწერი პროგრამაში. რეკომენდაცია გულისხმობდა ჩანაწერის გაკეთებას, რომ შემთხვევით ისე არ მომხდარიყო, რომ გარკვეული სასწავლო კურსის გავლის გარეშე სტუდენტი გადასულიყო შემდეგ კურსზე ან აერჩია ისეთი სასწავლო კურსი, რომლის წინაპირობაც მას გავლილი არ ექნებოდა.

საბჭოს წევრი ლევან გორდეზიანი დაინტერესდა ახალი პროგრამა ჩაანაცვლებდა ძველს თუ ორივე პროგრამა იმუშავებდა, რადგან მათ შორის კვეთა დიდი იყო. დაწესებულების წარმომადგენლების თქმით მოქმედი პროგრამები წარმოდგენილ ახალ პროგრამისგან დამოუკიდებლად გააგრძელებდნენ ფუნქციონირებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

16:00 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 16:05 საათზე.

G. Ju

4. შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	02
კრედიტების რაოდენობა:	240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, ბორის ლეჟავამ განაცხადა აცილება. შესაბამისად, საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ მიიღო მონაწილეობა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ციური დურულმა და გოჩა თუთბერიძემ. მათი თქმით ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერა დაწესებულების ინფრასტრუქტურა, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის განმახოციელებელ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, დაწესებულების რექტორთან, შესწავლილ იქნა ყველა საჭირო დოკუმენტი.

ექსპერთა განმარტებით, პროგრამა შედგებოდა სპეციალობის 176 ECTS კრედიტის (ძირითადი კომპონენტი - 162 ECTS კრედიტი და ინტეგრირებული პრაქტიკული პროექტი-14 ECTS კრედიტი) და 64 ECTS კრედიტი თავისუფალი კომპონენტისგან. სტუდენტს შეეძლო 64 ECTS კრედიტის კურსები აერჩია თავისუფალი კომპონენტის სახით შეთავაზებული 88 ECTS კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსებიდან. დაწესებულებას სხვა საბაკალავრო პროგრამა არ ჰქონდა ამიტომ Minor პროგრამას ვერ სთავაზობდნენ აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს.

ექსპერტებმა საბჭოს გააცნეს ჯგუფის მიერ დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ორი სემესტრის განმავლობაში, 16 ECTS კრედიტის მოცულობით ინგლისური ენის სწავლებას, აქედან პირველ სემესტრში ისწავლება ინგლისური ენა (B2) 8 ECTS კრედიტის მოცულობით, ხოლო მეორე სემესტრში ისწავლება დარგობრივი ენა ასევე, 8 ECTS კრედიტის მოცულობით. რამდენადაც, მესამე სემესტრიდან სტუდენტებისათვის შეთავაზებული სასწავლო კურსების ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი ინგლისურენოვანია, სასურველია, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, ინგლისური ენის გამოცდისათვის განსაზღვრული იყოს ის მინიმალური ზღვარი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაზე ენის შესაბამისი კომპეტენციის მქონე აბიტურიენტების ჩარიცხვას.

G. Ut

2. დარგობრივი სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებულია უახლესი ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოებით სწავლება, სასურველია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურას დაემატოს უახლესი ქართულენოვანი ლიტერატურა, აგრეთვე ქართული და ინგლისურენოვანი ელექტრონული რესურსები.

3. ინტეგრირებული პრაქტიკული პროექტი, მოცულობით 14 ECTS კრედიტი, სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია მე-8 სემესტრში, მის წინაპირობად გაწერილია ძირითადი სპეციალობის 162 ECTS კრედიტის ათვისება. სასურველია, აღნიშნულ კომპონენტზე დაშვების წინაპირობად მიეთითოს მხოლოდ ის რამდენიმე დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსი, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევაც აუცილებელია პრაქტიკულ პროექტზე დაშვებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს აკრედიტაციის ექსპერტებს გაწეული სამუშაოსათის. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის გამოცდისათვის მინიმალური ზღვარის განსაზღვრასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაზე ჩარიცხვა კანონმდებლობის გათვალისწინებით ხდებოდა, რაც ასევე მითითებული იყო საგანმანათლებლო პროგრამაში. ზღვრის დაწესება მისაღები იყო, თუმცა მათი აზრით, ნაადრევი იყო რადგან პროგრამაზე მიღება 2018 სასწავლო წლიდან იგეგმებოდა. იქამდე დასაწესებელი ზღვრის ციფრი შესაძლოა ცვალებადი ყოფილიყო, თუმცა საორიენტაციოდ, სამომავლოდ მიზანშეწონილი იყო აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება.

ლიტერატურასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მუდმივად ხდებოდა სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის განახლება, პროგრამის ბიუჯეტითაც გათვალისწინებული იყო წიგნადი ფონდის გამდიდრება. სტუდენტებისათვის ასევე ხელმისაწვდომი იყო პროგრამით გათვალისწინებული ყველა საჭირო ლიტერატურა ელექტრონული სახით.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რომ პროგრამის შექმნის დროს დაწესებულების ხედვა იყო, რომ სტუდენტს ყველა ძირითადი სავალდებულო საგანი ჰქონოდა გავლილი და მხოლოდ ამის შემდგომ დაეწყო მას პროექტზე მუშაობა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელი იყო ძირითადი სპეციალობის კურსების დაკონკრეტება.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რადენი სტუდენტის მიღება იგეგმებოდა პროგრამაზე და სად მდებარეობდა საგანმანათლებლო დაწესებულება.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სასწავლო უნივერსიტეტი მდებარეობდა ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის N14-ში. მისაღები სტუდენტების რაოდენობასთან დაკავშირებით ზუსტი რიცხვი არ იყო დადგენილი, თუმცა მისი თქმით პირველივე ჯერზე დიდი რაოდენობის მიღებას არ გეგმავდნენ.

სხდომის თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა ბანკის თანამშრომლები თუ კითხულობდნენ სალექციო კურსებს. აკრედიტაციის ექსპერტებმა განმარტეს, რომ არა მხოლოდ ბანკის თანამშრომლები, არამედ ბევრ ორგანიზაციასთან ჰქონდა დაწესებულებას გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, სხვადასხვა კომპანიის თანამშრომლებიც კითხულობდნენ გარკვეულ სასწავლო კურსებს. შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი ამ ხელშეკრულებებით პრაქტიკის გავლის თვალსაზრისითაც იქნებოდა უზრუნველყოფილი.

ექსპერტმა, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ გარდა იმისა, რომ კურსის განმახორციელებლებს ჰქონდათ პრაქტიკული გამოცდილება, პერიოდულად სხვადასხვა ევროპულ უნივერსიტეტებშიც კითხულობდნენ ლექციებს.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილის თქმით, დღესდღეობით დიდ პრობლემას წარმოადგენდა ინგლისურენოვანი მაღალკვალიფიციური კადრი საგანმანათლებლო სივრცეში. იგი დაინტერესდა, თუ როგორ მოიძია დაწესებულებამ მაღალკვალიფიციური კადრები და მათი უმრავლესობის სტატუსი იყო აკადემიური პერსონალი, თუ მოწვეული. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით,

6-1ᲙᲑ

კომბინირებული იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა. რაც შეეხებოდა კადრის მოძიებას, სასწავლო უნივერსიტეტი მუდმივად მუშაობდა აღნიშნულ საკითხზე. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, არსებული კადრების მოძიება ძირითადად მოხდა კონკურსების, პირადი კონტაქტების გამოყენებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	მედიცინა
განათლების საფეხური:	ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლება მაგისტრთან გათანაბრებული (II საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	დიპლომირებული მედიკოსი
სწავლების ენა:	ქართული და ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი:	09
კრედიტების რაოდენობა:	360

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტზე იმყოფებოდა შემადგენლობით - თამარ ვალიშვილი და ეკა ეკალაძე.

საბჭოს სხდომაზე დასკვნა წარადგინა აკრედიტაციის ექსპერტმა თამარ ვალიშვილმა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის მიზანია საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე კვალიფიციური დიპლომირებული მედიკოსის მომზადება. პროგრამის სწავლების ენა იყო ქართული და ინგლისური. თამარ ვალიშვილმა საბჭოს მოახსენა:

1. მედიცინის დარგობრივი სტანდარტის მიხედვით, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში 20 კრედიტი უნდა დაეთმოს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. წარმოდგენილ პროგრამაში პრატიკული უნარ–ჩვევების შესწავლას ემსახურება შემდეგი სასწავლო კურსები:

- „კომუნიკაცია მედიცინაში“ - 1 კრედიტი
- „კლინიკური კლერქშიფი 1“ - 1 კრედიტი
- „კლინიკური კლერქშიფი -2“ - 2 კრედიტი
- „კლინიკური უნარ-ჩვევები“ - 1 კრედიტი
- „კლინიკური პრაქტიკა“- 8 კრედიტი

სულ 13 კრედიტი. დანარჩენი 7 კრედიტი ჩაშლილია ცალკეულ კლინიკურ საგნებში. ვინაიდან ცალკეულ სასწავლო კურსებში ჩაშლილი კრედიტების დათვლა გაძნელებულია, რეკომენდებულია, პროგრამაში მკაფიოდ იყოს გამოყოფილი კლინიკურ უნარ-ჩვევებსა და სამეცნიერო უნარ-ჩვევებზე მედიცინის დარგობრივი სტანდარტით გათვალისწინებული კრედიტები.

2. პროგრამაში არსებული რამდენიმე სასწავლო კურსის მიზნები და შედეგები ერთნაირია და ატარებს ზოგად ხასიათს (მაგალითად: ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია 1, 2; ანატომია 1,

6.1U6

2, 3). მიზანშეწონილია სილაბუსებში გაწერილი მიზნებისა და შედეგების დაზუსტება და დაკონკრეტება.

3. არჩევითი საგანი ,,კლინიკური ფსიქოლოგია" ისწავლება მესამე სემესტრში, კურსზე დაშვება ხდება წინაპირობის გარეშე. ამავდროულად, კურსის შინაარსი მოიცავს ისეთ პათოლოგიებს, რომლებიც საჭიროებენ კლინიკური საგნების ცოდნას. მიზანშეწონილია, მოხდეს სასწავლო კურსის „კლინიკური ფსიქოლოგია" წინაპირობების განსაზღვრა და სასწავლო გეგმაში ამ კურსის სემესტრული მდებარეობის გადანაცვლება.

4. არჩევითი სასწავლო კურსი „ლათინური ენა და სამედიცინო ტერმინოლოგია" - ისწავლება მესამე სემესტრში, მაშინ, როცა ძირითადი ბაზისური სამედიცინო საგნები, რომლებიც საჭიროებენ ლათინური ტერმინოლოგიის ცოდნას (ანატომია, ფიზიოლოგია, ბიოქიმია, ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია) დაწყებულია პირველ-მეორე სემესტრში. სასურველია, ლათინური ენა პირველივე სემესტრში ისწავლებოდეს.

5. არჩევითი საგანი - წამლის რაციონალურად გამოყენების მეთოდები ისწავლება მე-7 სემესტრში, როცა ფაქტობრივად კლინიკური საგნების შესწავლა იწყება. სასწავლო კურსის მიზნიდან და შინაარსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ეს კურსი იკითხებოდეს მას შემდეგ, რაც სტუდენტს უკვე დაგროვილი აქვს გარკვეული კლინიკური ცოდნა, იმისათვის რომ, მან შეძლოს ფარმაკოლოგიური პრეპარატების რაციონალური გამოყენების არსის გააზრება.

6. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების - „პროპედევტიკა", „კომუნიკაცია მედიცინაში" შეფასების სისტემით გათვალისწინებულია კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასება, თუმცა სილაბუსებში არ არის დაკონკრეტებული, რომელი უნარ-ჩვევების შეფასება ხდება და როგორ. სასურველია, დეტალურად გაიწეროს ამ კომპონენტის შინაარსი.

7. ჰისტოლოგია 1, 2 სასწავლო კურსების შეფასების სისტემა ითვალისწინებს მხოლოდ თეორიული კომპონენტის შეფასებას. სილაბუსში არ ჩანს პრაქტიკული სამუშაოს (პრეპარატებზე მუშაობა) მოცულობა და მისი შეფასების კრიტერიუმები. სასურველია, აღნიშნულ სასწავლო კურსებში გათვალისწინებული იყოს საგნის პრაქტიკული კომპონენტი და შესაბამისად, მისი შეფასების წესი.

8. სილაბუსების უმეტესობის შეფასების სისტემა ითვალისწინებს ერთდროულად პრეზენტაციისა (10 ქულა) და რეფერატის (7 ქულა) მომზადებას. კომპეტენცია, რომელიც გამომუშავდება ამ კომპონენტებზე მუშაობის შედეგად, თითქმის ერთიდაიგივეა, გარდა ნაშრომის საჯაროდ წარდგენისა. თუ გავითვლისწინებთ იმას, რომ იგივე სახის სურათია კლინიკურ სასწავლო კურსებშიც, სასურველია, ის დრო და შეფასების წილი, რაც ზემოაღნიშნულ კომპონენტებს ეხება, კლინიკური ცოდნის შეძენასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების კომპენენტებზე გადანაწილდეს.

9. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში დღეისათვის არ არის კლინიკური უნარ-ჩვევების აღჭურვილი ლაბორატორია, ასევე, შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი ლაბორატორიები - ჰისტოლოგიისთვის, პათანატომიისთვის, მიკრობიოლოგიისთვის. ვიზიტის პერიოდში, დათვალიერებისას ექსპერტებმა ნახეს აღნიშნული ლაბორატორიებისთვის გამოყოფილი ოთახები. ამავე დროს, პროგრამის აკრედიტაციისთვის წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში მითითებული იყო, რომ დაწესებულება განვითარების შესაძლებლობად მოიაზრებდა კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის ამოქმედებას ახალი კვლევების, საგრანტო პროექტებისა და მოქმედი პროფესიონალების პროფესიული განვითარების კურსების შეთავაზებით.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულების ხელმძღვანელობამ წარმოადგინა რამოდენიმე ხელშეკრულება შპს "მედიკსერვისთან" სამედიცინო ინვენტარის ნასყიდობის შესახებ, კერძოდ: 2016 წლის 18 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულება ინტერაქტიური ანატომიური დისექციის ვირტუალური მაგიდის შესყიდვის თაობაზე. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს 1 წლიან პროგრამულ უზრუნველყოფას, ტექნიკურ მხარდაჭერას, მაგიდის ინსტალაციაას და ტრენინგს. ასევე 2016 წლის 30 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება 1 ტრინოკულარული მიკროსკოპის, 8 ცალი ბინოკულარული მიკროსკოპის, 3 ph-მეტრის, ბიოუსაფრთხოების კარადის,

6-108

ლაბორატორიული ცენტრიფუგის, თერმოსტატის, ავტოკლავის, 2 ერთარხიანი პიპეტების ნაკრების, ქირურგიული ინსტრუმენტების, CPR მულაჟი მამაკაცის, ბავშვის, ინტუბაციის მულაჟის, 2 კატეტერიზაციის მულაჟის, ტრაქეოსტომიის მულაჟის, შარდის ბუშტის მულაჟის, ნაკერების ტრენაჟერის - 10 ცალი, ლაბორატორიული ჭურჭლის, სპინალური ფუნქციის მულაჟის, ანატომიური მანეკენის, ადამიანის ჩონჩხის შესყიდვის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მისცა შესაძლებლობა საქმესთან დაკავშირებით დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენლებმა რეფერატისა და პრეზენტაციის შეფასებასთან დაკავშირებით განმარტეს, რომ რეფერატი გულისხმობდა ლიტერატურასთან მუშაობას, კვლევაზე ორიენტაციას, განსხვავებით პრეზენტაციისგან და ორივე აუცილებელი იყო სტუდენტის უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის.

ლაბორატორიის აღჭურვილობასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველანაირი ანატომიური ქეისის განხილვის შესაძლებლობას იძლეოდა არსებული რესურსი, დანარჩენი ინვენტარის შეძენაზე თანხა იყო გადახდილი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინვენტარის ნაწილი იყო ჩამოსული, ნაწილს კი ელოდებოდნენ და ივნისის ბოლოს წარმოსადგენ ყოველწლიურ თვითშეფასების ანგარიშში ასახავდნენ ყველაფერს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდნენ ექსპერტებს პროგრამაში კლინიკური უნარ-ჩვევების 20 კრედიტის მკაფიოდ გამიჯვნასთან დაკავშირებით და უკვე გათვალისწინებული იყო ეს რეკომენდაცია.

ლათინურ ენასთან დაკავშირებით კი დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ლათინური ენის ტერმინოლოგია ისწავლებოდა ანატომიაში.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, როდის ფიქრობდნენ დაწესებულების წარმომადგენლები სტუდენტების მიღებას. მათ განმარტეს, რომ სექტემბრიდან უცხოელების მიღებას შეძლებდნენ, ყველა ლექტორი უცხოენოვანი იყო, მათ შერჩევის დროს ჩაუტარდათ გამოცდა ან ენის შესაბამისი ცოდნა დაადასტურეს შესაბამისი სერტიფიკატით. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობდნენ და ძირითადად, სტუდენტებს ამ რეგიონიდან ელოდებოდნენ.

დაწესებულების კონსულტანტმა, ხათუნა საგანელიძემ, აღნიშნა, რომ სეუ საქართველოში არსებული სამი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან იმ ერთ-ერთ დაწესებულებას წარმოადგენდა, რომელსაც საკუთარი საუნივერსიტეტო კლინიკა ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამ განაპირობა კლინიკის გახსნა უფრო ადრე, ვიდრე სამედიცინო პროგრამის შემოტანა. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნულ შეკითხვას უპასუხეს, რომ ეს იყო დაწესებულების დამფუძნებლის ბიზნესის ნაწილი და შემდეგ გადაწყვიტეს საკუთარი კადრი მოემზადებინათ ამ კლინიკაში დასაქმებისთვის.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით რამდენად საჭირო იყო ახალი სამედიცინო ფაკულტეტის გახსნა. დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა უპასუხა, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მათი პრეროგატივა არ იყო.

საბჭოს წევრმა, ნანა შათაშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარი იყო პროგრამაზე სწავლების ენის საკითხი. მისი შეხედულებით, ერთი პროგრამა უნდა განხორციელებული ან ერთ, ან მეორე ენაზე. მისი შეხედულებით, ერთი პროგრამა ერთდროულად ორ ენაზე ვერ განხორციელდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ცენტრში წარმოდგენილი იყო ერთი პროგრამა, რომელსაც სწავლების ენად მითითებული ჰქონდა ქართული და ინგლისური. სააკრედიტაციო განაცხადი ცენტრის მიერ მიღებული იყო, როგორც ერთი პროგრამა, თანხაც განსაზღვრული იყო შესაბამისად და სწავლების ენის გამო ხარვეზი არ დაფიქსირებულა ექსპერტთა მხრიდან.

6.1U6

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტმა, თამარ ვალიშვილმა აღნიშნა, რომ სწავლების ენა იყო ქართული და ინგლისური. ჯგუფების ერთი ნაწილი მთლიან პროგრამას გაივლიდნენ ქართულ ენაზე, მეორე ნაწილი კი - ინგლისურ ენაზე. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სალექციო კურსები მიმდინარეობდა ორივე ენაზე, ქართულად და ინგლისურად.

საბჭოს წევრი ლევან გორდეზიანი დაინტერესდა, პროგრამის მიხედვით თუ რომელ ენაზე განხორციელდებოდა სალექციო კურსების წაკითხვა. დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს რომ სწავლება ჯგუფებიდან გამომდინარე განხორციელდებოდა ქართულ და ინგლისურ ენებზე. შესაბამისად, დაწესებულებაში ჩარიცხული სტუდენტები ისწავლიდნენ ან ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ პროპორციით აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 15 პირს ეკავა აკადემიური თანამდებობა და 30 პირი იყო მოწვეული პედაგოგი. საბჭოს წევრებმა კითხვით მიმართეს ექსპერტს, რამდენი მათგანი მუშაობდა პარალელურად სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ექსპერტმა უპასუხა, რომ ძირითადად ყველა მუშაობდა სხვა უნივერსიტეტებშიც. ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრიორიტეტი მიანიჭეს სწავლების გამოცდილების მქონე პირებს.

საბჭოს წევრებმა იკითხეს, სად მიმდინარეობდა კურაციული მეცადინეობები. დაწესებულების წარმომადგენელმა, უპასუხა, რომ გაფორმებული ჰქონდათ მემორანდუმები სხვადასხვა კლინიკასთან, მათ შორის, ავერსთან, რადგან ეს კომპანია მრავალპროფილურ სამედიცინო დაწესებულებას წარმოადგენდა. ექსპერტმა, თამარ ვალიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი იყო ხელშეკრულებები შემდეგ დაწესებულებებთან: „სამედიცინო ცენტრი კლინიკა სეუ", კლინიკა „ავერსი", სს „კ.ერისთვის სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი", შპს „ახალი სამშობიარო ცენტრი", „თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი", ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული მოძრაობა დავითიანნის ფსიქოლოგიის ცენტრი", შპს „მარჯის" კლინიკა „კარდიოსტილი", სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „რაიდმედი". საბჭოს წევრები დაინტერესდნენ ტერიტორიულად ახლოს თუ იყვნენ ეს კლინიკები და სტუდენტებს რამდენად ექნებოდათ შესაძლებლობა ესარგებლათ ზემოაღნიშნული დაწესებულებებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული დაწესებულებების ადგილმდებარეობის არეალი მოიცავდა თბილისის მუნიციპალიტეტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე დაახლოებით 30 სტუდენტის მიღებას გეგმავდნენ, ხოლო ტერიტორიულად კლინიკების გადანაწილება პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგან კურაციული სწავლება მოიცავდა გარკვეული პერიოდის კლინიკაში გატარებას, ანუ სტუდენტს ხელი არ შეეშლებოდა ამის გამო.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ საგნით „პირველი ნაბიჯი მეცნიერებაში", თუ რა იყო აღნიშნული სასწავლო კურსის მიზანი და შედეგი. ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ მათი აზრით, სტუდენტი პირველივე კურსიდან უნდა ყოფილიყო ჩართულიყო სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში. იქიდან გამომდინარე, რომ ეს პროგრამა მაგისტრთან გათანაბრებული იყო, კვლევის კომპონენტი აუცილებლად უნდა მოეცვა, რასაც ემსახურებოდა აღნიშნული საგნის სწავლება.

საბჭოს სხდომაზე 17:20 საათზე შესვენება გამოცხადდა.
სხდომა განახლდა 18:01 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს წევრები თვლიდნენ, რომ ექსპერტის დასკვნაში არსებული გარემოებების ნაწილი თავიანთი შინაარსიდან გამომდინარე წარმოადგენენ ხარვეზებს. ამიტომ, საკითხის სრულყოფილად და სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, საბჭოს

6-1U6

წევრებს სურდათ კიდევ ერთხელ დამაზუსტებელი კითხვებით მიემართათ აკრედიტაციის ექსპერტისთვის და მხოლოდ ამის შემდგომ მიეღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, რომ აკრედიტაციის ერთ-ერთი სტანდარტი თანახმად, სტანდარტი დაკმაყოფილებულად ჩაითვლებოდა, თუკი დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით, მიმართა აკრედიტაციის ექსპერტს, ვიზიტის პერიოდში აკმაყოფილაბდა თუ არა აკრედიტაციის მაძიებელი დაწესებულება ზემოაღნიშნული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნას, კერძოდ, დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფდა თუ არა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტმა, თამარ ვალიშვილმა აღნიშნა, რომ მისი მოვალეობა, როგორც ექსპერტის იყო ის, რომ აღეწერა სიტუაცია რაც მას დაწესებულებაში დახვდა. თამარ ვალიშვილის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული იყო, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა არ იყო სრულად წარმოდგენილი, თუმცა, არსებობდა ხელშეკრულებები მათ შესყიდვებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრები ჩაეკითხნენ ექსპერტს, ადგილზე, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში იყო თუ არა საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა. ექსპერტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა ვერ უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა განაცხადა, რომ ინვენტარის ნაწილი ადგილზე იყო, ანატომიური მულაჟი, მიკროსკოპი და სხვა საშუალებები, ასევე, გაფორმებული ჰქონდათ მემორანდუმები, რისი წარმოდგენაც საბჭოსთვისაც შეეძლოთ.

გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ პრაქტიკაში, ექსპერტები უთვლიდნენ დაწესებულებას იმ რესურსს, რაც შეძენილი იყო. უნივერსიტეტის რექტორმა, გია კავთელიშვილმა დაამატა, რომ ექსპერტები რიგ შემთხვევებში დაუმთავრებელ, სარემონტო მდგომარეობაში არსებულ შენობასაც უთვლიდნენ დაწესებულებებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში საუბარი ეხებოდა მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა/სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხს, რომელსაც აწესრიგებდა ავტორიზაციის დებულება. ავტორიზაციის დებულების თანახმად, ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო უფლებამოსილი იყო მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდისას მხედველობაში მიეღო დაწესებულების ის ფართი, რომელშიც ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, ასევე სხვა მატერიალური რესურსის შეძენასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებები. ლაშა მარგიშვილის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში განიხილებოდა პროგრამის აკრედიტაციის საკითხი და არა დაწესებულების სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის საბჭო აღნიშნული ნორმით ვერ იხელმძღვანელებდა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, თუ რას გულისხმობდა ექსპერტთა ჯგუფი, რომლის მიხედვითაც სილაბუსში დასაზუსტებელი იყო სწავლის მიზნები და შედეგები. ექსპერტმა, თამარ ვალიშვილმა აღნიშნა, რომ სილაბუსების უმეტესი ნაწილი ზოგად ხასიათს ატარებდა. მაგალითად, ანატომიის კურსით გათვალისწინებული იყო ორგანოების, ნაწილების, სტრუქტურების სწავლება, შესაბამისად, შედეგების გაწერა დაწვრილმანებით შეიძლებოდა. თუმცა, ექსპერტმა დასძინა, რომ მისი აზრით, ეს იყო რეკომენდაცია და არა შენიშვნა. საბჭოს წევრმა, ბორის ლეჟავამ ექსპერტს დამაზუსტებელი კითხვით მიმართა, სილაბუსის მიზანი პასუხობდა თუ არა შედეგს. ექსპერტმა დაადასტურა, რომ მიზნები და შედეგები თანხვედრაში იყო, თუმცა ატარებდა

ზოგად ხასიათს და გამომდინარე იქიდან, რომ სამედიცინო პროგრამები სპეციფიკურია, კონკრეტული შედეგების გაწერას საჭიროებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტის რეკომენდაციას არ ეთანხმებოდნენ, თუმცა თუ ექსპერტი თვლიდა, რომ შედეგები კიდევ უფრო დაკონკრეტებას საჭიროებდა, შესაძლებელი იყო ამის გაკეთება.

უნივერსიტეტის რექტორმა, გია კავთელიშვილმა აღნიშნა, რომ მას სურდა, გადაწყვეტილების მიღებამდე, საბჭოს წევრებს თავად ენახათ ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, რათა სცოდნოდათ მდგომარეობა. მისი თქმით, არამიანცის ტერიტორიაზე უნივერსიტეტის კლინიკა 2008 წლიდან ფუნქციონირებდა, ბავშვთა ფსიქონევროლოგიურ ნაწილში მუშაობდნენ ცნობილი ექიმები, ვინც პროგრამაში იყო ჩართული.

გია კავთელიშვილმა განაცხადა, რომ ინგლისურის გარეშე სპეციალისტებს ვერ გაზრდიდნენ, ქართული თარგმანებით ვერ დააწევდნენ სიახლეებს, ასევე თანამშრომლობდნენ ევროპის უნივერსიტეტებთან და გათვლა ამ რეგიონის სტუდენტებზე იყო, სწორედ ამან განაპირობა ინგლისურ ენაზე სწავლება და არა ქართულზე. რექტორმა აღნიშნა, რომ სურდა მცირე კონტინგენტის მიღება, მაქსიმუმ 50 სტუდენტის, სამედიცინო პროგრამა უფრო მეტ ხარჯთან იქნებოდა დაკავშირებული, ვიდრე ამ კონტინგენტის სტუდენტების გადასახადი დაფარავდა, შესაბამისად, მისი მოტივაცია იყო მხოლოდ პროფესიონალების აღზრდა.

საბჭოს წევრებმა რექტორს სთხოვეს დაეზუსტებინა თუ რომელ ენაზე განხორციელდებოდა სწავლება, რადგან ამ საკითხმა ბევრი კითხვა წარმოშვა. გია კავთელიშვილმა განაცხადა, რომ პროგრამაში დაფიქსირებილი იყო ქართული და ინგლისური ენა, თუმცა ის ქართულ ენაზე სასწავლო პროცესის განხორციელებას არ ეთანხმებოდა. მისი თქმით, ქართული სექტორის გახსნას არ აპირებდა და ვისაც სამედიცინოზე სწავლის სურვილი ექნებოდა უნდა დაეკმაყოფილებინა ინგლისური ენის ცოდნა გარკვეულ დონეზე. შესაბამისად, რექტორის განცხადებით სალექციო კურსები განხორციელდებოდა მხოლოდ ინგლისურ ენაზე.

საბჭოს წევრმა, ნანა შათაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში არსებული ინფორმაციიდან არ ჩანდა, რომ სწავლების ენა იქნებოდა მხოლოდ ინგლისური. პროგრამის თანახმად, სწავლების ენა იქნებოდა ქართული და ინგლისური. ამასთან დაკავსირებით, საბჭოს წევრებმა გაკვირვება გამოთქვეს, რადგან დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ვიცე-რექტორისა და მეორეს მხრივ დაწესებულების რექტორის პასუხები იყო ურთიერთგამომრიცხავი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ვიცე-რექტორი განმარტებით, პროგრამის სწავლების ენა იყო ქართული და ინგლისური, რექტორის განმარტებით კი მხოლოდ ინგლისური.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, რამდენ სასწავლო კურსს მოიცავდა იმ მატერიალური რესურსით სწავლება, რომელიც არ იყო დაწესებულებაში ადგილზე ექსპერტების ვიზიტის დროს. ექსპერტმა, თამარ ვალიშვილმა აღნიშნა, რომ თითქმის ყველა სასწავლო კურსის სწავლებისთვის იყო საჭირო დასკვნაში მითითებული ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში არ გააჩნდა.

დაწესებულების წარმოადგენლებმა აღნიშნეს, რომ ლაბორატორიაში გარკვეული ინვენტარი იყო, მაგალითად მიკროსკოპები, მულაჟები.

საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ განაცხადა, რომ კანონმდებლობის მიხედვით, პროგრამის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია აკრედიტაციის ყველა სტანდარტი. მოცემულ შემთხვევაში, დაწესებულება ვერ აკმაყოფილებდა აკრედიტაციის ერთ-ერთ სტანდარტს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა.

დაწესებულების რექტორმა გია კავთელიშვილმა, ცენტრის თანამშრომლებს სთხოვა განემარტათ, თუ რას გულისხმობდა სტანდარტის მოთხოვნა, კერძოდ სტანდარტის დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი იყო თუ არა დაწესებულებას აკრედიტაციის ექსპერტთა

6-1ა

ჯგუფის ვიზიტის პერიოდში ჰქონოდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა, თუ საკმარისი იყო მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულების წარმოდგენა აღნიშნული ინვენტარის შეძენის თაობაზე, რომლის განთავსებაც განხორციელდებოდა სწავლის დაწყებამდე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ერთ-ერთი სტანდარტის თანახმად, დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას უნდა დაუდასტურდეს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური აღჭურვილობის არსებობა და არა სამომავლოდ აკრედიტაციის მინიჭების შემდგომ.

დაწესებულების რექტორმა, გია კავთელიშვილმა განაცხადა, რომ შეძენილი იყო შესაბამისი რესურსი და ელოდებოდნენ ჩამოსვლას, მისი თქმით, საბჭოს არ უნდა ჰქონოდა ეჭვის შეტანის საფუძველი მის სიტყვებში, რადგან ნამდვილად ჩამოვიდოდა ინვენტარი. საბჭოს წევრებმა ამაზე უპასუხეს, რომ ეს საკითხი ნდობის ფარგლებში ვერ განიხილებოდა, საჭირო იყო რესურსის ადგილზე არსებობის დადასტურება.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამ შემთხვევაში, ექსპერტებს დასკვნაში უნდა მიეთითებინათ, რომ შედეგზე ვერ გადიოდა პროგრამა მატერიალური რესურსის გამო.

ექსპერტის თამარ გალიშვილის განმარტებით, მან ადგილზე ნახა მხოლოდ ერთი გაუმართავი მიკროსკოპი, რომელიც არ იყო საკმარისი სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებზე გასასვლელად. აღნიშნულ მოსაზრებას არ დაეთანხმნენ დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს სხდომაზე 18:27 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 18:33 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 2
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: ნათელა სახოკია, თამარ ბრეგვაძე, ლევან გორდეზიანი, ბორის ლეჟავა, ნანა შათაშვილი.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ საბჭოს ძირითადად ჰქონდა ორი არგუმენტი, რის გამოც მიიღეს უარყოფითი გადაწყვეტილება: 1. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა დაწესებულებას არ ჰქონდა; 2. რექტორისა და დაწესებულების ვიცე-რექტორის,

6.105

ხარისხის უზრუნველყოფის, პროგრამის ხელმძღვანელის მოსაზრებები პროგრამის წავლების ენასთან დაკავშირებით იყო ურთიერთგამომრიცხველი. შესაბამისად, საბჭოსთვის ბუნდოვანი დარჩა პროგრამაზე სწავლების ენის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა არგუმენტებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საბჭო არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა პროგრამის ენაზე, რადგან ცენტრმა განაცხადი მიიღო, როგორც ერთი პროგრამა, წარმოება წარმართა ერთ პროგრამაზე, თანხა განუსაზღვრა დაწესებულებას ერთი პროგრამის შესაბამისად. მან აღნიშნა, რომ ასეთი პრაქტიკა უკვე აპრობირებული იყო და სხვა უნივერსიტეტებიც ახორციელებდნენ პროგრამას ორ ენაზე, მაგალითად დავით ტვილდიანის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და ნიუ ვიჟენი. გიორგი ცხვედიანის მოსაზრებით, საბჭოს არგუმენტები იყო დაუსაბუთებელი, რის გამოც, სასწავლო უნივერსიტეტი განიხილავდა გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გასაჩივრება დაწესებულების უფლებამოსილებას წარმოადგენდა და დასძინა, რომ დაწესებულებაში შიგნით თვითონ არ იყვნენ შეთანხმებულები მნიშვნელოვან საკითხებზე.

გიორგი ცხვედიანმა განაცხადა, რომ დაწესებულების გადასაწყვეტი იყო თუ რომელ ენაზე ასწავლიდნენ. მისი განმარტებით, საბჭოს უფლებამოსილებას წარმოადგენდა იმის დადგენა - აკმაყოფილებდნენ თუ არა აკრედიტაციის სტანდარტებს. დაწესებულების ვიცე-რექტორის განმარტებით, ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად საბჭო ვალდებული იყო დაესაბუთებინა საკუთარი გადაწყვეტილება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 18:41 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ნათელა სახოკია

მდივანი
თამარ ბრეგვაძე